

შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის“ რექტორის

ბრძანება #105

„ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში“ ცვლილებების შეტანის შესახებ

შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის“ წესდების მე-5 მუხლის, პირველი და მე-2 პუნქტების, მე-3 პუნქტის „ა“, „ბ“, „ზ“ და „დ“ ქვეპუნქტებისა და ბიზნესის სკოლის საბჭოს 2019 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შევიდეს ცვლილება „ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში“ და დამტკიცდეს თანდართული სახით;
2. დამტკიცდეს შემდეგი სასწავლო კურსების სილაბუსები თანდართული დოკუმენტების სახით: „ადამიანური რესურსების მართვა“, „აკადემიური წერა“, „ბიზნესის საფუძვლები“, „ბიზნეს-სოციოლოგია და მარკეტინგული კვლევა“, „ინგლისური ენა“, „ინოვაციების მენეჯმენტი“, „კარიერის დაგეგმვა“, „კორპორაციული მართვა და სოციალური პასუხისმგებლობა“, „კორპორაციული ფინანსები“, „კულტურათა დიალოგი - შუმერი და ქართველური სამყარო“, „მაკროეკონომიკის პრინციპები“, „მარკეტინგის საფუძვლები“, „ოპერაციათა მენეჯმენტი“, „ფინანსური აღრიცხვა“.
3. დამტკიცდეს „ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის“ სწავლის შედეგების შეფასების გეგმა თანდართული სახით.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოცემისთანავე.

რექტორი,

აკაკი ხელაძე